# АВИА






Слава Советским Вооруженным Силам!

Куда ქ. თბილისი
ლენინის ქ. N68
საქართველოს ტელევიზიის

Кому მუსიკალური გადაცემათა
რედაქციას

Индекс предприятия связи и адрес отправителя

თბილისი. ქიაჩელის ქ. N14
თ. ა. ვაშაყმაძეები.

Индекс предприятия связи места назначения

საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური
გადაცემათა რედაქციას!

ამ წერილს თბილისიდან გწერთ. ჩვენ მუსიკის მოყვარულნი და თაყვანისმცემელნი ვართ. იმდენად გატაცებული ვართ მუსიკალური გადაცემებით, რომ ნებისმიერი მუსიკალური კონცერტების (ეს იქნება საზღვარგარეთული ესტრადის, ჩვენი ესტრადის წარმომადგენლების თუ კლასიკური მუსიკის ინტერ-თა მიერ შედგენილი) აქტიურმსმენელებად ვითვლებით.

საკონცერტო დარბაზებსაც ხშირად ვეწვევით ხოლმე, ვინაიდან ჩვენთვის უცხოა ის დიდი წინააღმდეგობანი, რომელიც დაკავშირებულია ბილეთის შოვნასთან, რიგში დგომასთან და სხვა, თუმცა ჯერ ამ წინააღმდეგობებს ვუშინდებით.

დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს თქვენს მუსიკალურ გადაცემებს (ვინაიდან იგი გვასვენებს და გვაღელვებს) რადგან ტელეგადაცემები ურიგო და უზიდეთო სიამოვნებაა ჩვენთვის.

თქვენს მუსიკალურ გადაცემებში აღარ ვხვდებით რუბრიკას: „ამღერებული ოჯახები", რომელსაც ყოველთვის დიდი ინტერესით ვისმენდით; ვისმენდით ერთი იმიტომ, რომ თაყვანს ვცემთ მუსიკას, მეორე - იმიტომ რომ ჩვენი ოჯახის ყველა წევრი ჩინებულად მღერის, მესამეც იმიტომ, რომ ამ ამღერებულ ოჯახებში ჩვენი ბავშვობისა და ყრმობის მეგობრები და-ძმანი შალამბერიძეები, მშობლებითურთ (შალამბერიძეების ოჯახი) მღერიან საკრავ ინსტრუმენტებთან ერთად.

ჩვენი გზები დიდი ხანია გაიყო, თითქმის ვერც ვხვდებით ერთმანეთს; მოკრძალებით გთხოვთ მოგვასმენინოთ გადაცემა „ამღერებული ოჯახები", სადაც ჩვენი ბავშვობის მეგობრებსაც მოვუსმენთ.

რადიო-ტ...
შემოსული წერილები № 22
4 VI 1979

და-ძმა თინათინ და ავთანდილ ვაშაყმაძეები
(სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკური ორდინატორი, ამავე ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი)